ფეხბურთის მოედნებზე

დაძაბული ბრძოლა

ლენინგრადი (ტელეფონით ჩვენი კორესპონდენტისაგან) 23 ივლისს ლენინგრადის "დინამოს" სტადიონზე შედგა მორიგი კალენდარული მატჩი საბჭოთა კავშირის პირველობაზე ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის "დინამოსა" და ადგილობრივი "ზენიტის" გუნდები.

თამაშმა თავიდანვე დაძაბული ხასიათი მიიღო. ორივე მხარემ თავბრუდამხვევი შეტევები განავითარა. საჯარიმო მოედნებზე ხშირად იქმნებოდა სახიფათო მომენტები, მაგრამ მეკარეები მარღანია და ივანოვი კარგად იცავდნენ კარს.

ერთერთი იერიშის დროს დინამოელებმა მშვენივრად გამოიყენეს ხელსაყრელი მდგომარეობა და "ზენიტის" კარში ბურთი გაიტანეს. არ გასულა ერთი წუთი და მახარაძემ თავით მეორე გოლი შეაგდო მოწინააღმდეგის კარში.

შესვენებამდე ლენინგრადელმა კოროტკოვმა მოახერხა ერთი ბურთის გაქვითვა და პირველი ტაიმი დამთავრდა 2:1 თბილისელთა სასარგებლოდ.

მეორე ტაიმის პირველ წუთებში "დინამოს" თავდამსხმელებმა რამდენიმე მეტად სახიფათო მომენტი შექმნეს "ზენიტის" კართან, მაგრამ უშედეგოდ. შემდეგთ ბურთი ლენინგრადელებმა ჩაიგდეს და კომაროვმა ძლიერი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში.

ანგარიში 2:2 მატჩის დასასრულამდე არ შეცვლილა.

„ლელო“, 29 ივლისი 1949 წ.